სსრ კავშირის თასზე

12 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

თბილისის დინამოელებს ამ ეტაპის პირველი შეხვედრა ლვოვში ჰქონდათ ადგილობრივ ასკ „კარპატისთან“. ლვოვის გუნდს, რომელიც 1 ლიგის საკავშირო გათამაშებაში მერვე ადგილზე იმყოფებოდა, ეს მატჩი ფრიად პრესტიჟულად ესახებოდა, ამიტომაც პირველივე წუთებიდან სცადა ინიციატივის ხელში აღება. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლები მოქმედებდნენ ენერგიულად, სწრაფი ტემპით, გუნდი იერიშებს ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან ახორციელებდა, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბონდარჩუკი და გამალი, ხოლო ცენტრში - იურჩენოკო, მედვიდი, ბუნიაკი და სხვანი. თითქმის მთელი 45 წუთის მანძილზე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ დინამოელებმა კარგად მოაწესრიგეს ურთიერთობა დაცვის რგოლებს შორის და რამდენიმე კონტრიერიშიც განახორციელეს. ტაიმის დასასრულს ასკ „კარპატის“ იერიშებმა იმატა, მაგრამ შედეგი არც ამას არ გამოუღია. ეტყობა, ლვოველმა ფეხბურთელებმა მატჩის პირველ ნახევარს ბევრი ენერგია შესწირეს, შესვენების შემდეგ მათი სათამაშო რესურსები ამოიწურა. მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა, შემდეგ კი მეკარე რასულოვსაც მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება.

მატჩის ბოლო წუთები კვლავ ლვოველთა ძლიერი შეტევებით აღინიშნა, მაგრამ საწადელს მათ ვერ მიაღწიეს და თამაშიც ფრედ დამთავრდა - 0:0. თბილისის დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, გ. ჯიშკარიანი (თედეევი), სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (გურული), ფანცულაია, გიგიჩაიშვილი. იმსაჯა მოსკოველმა ა. ლუნინმა. გააფრთხილეს გურული.